ვახუთ „მომავალი“-ის № 12-ში მოთავსებულ ჩემდამი ცილისწამებას და ლანძღვას, რასაკვირველია, უყურადღებოდ ვტოვებ. მე ამ ვახუთის სხვა საკითხში მხოლოდ ერთი გახლავთ დაღუპული ლაშქარის მეთაური, რომელიც შეგნებული ქართველის მოგონებას აწვდიდა. საზიზღობის სამარცხენო ბოძზედ გაკვრა. ნამდვილი პროვოკაცია და ეროვნული დანაშაულია ლეკების წყუკავებად წოდება და ბანდიტებად გამოცხადება. როგორ, დიდი შამილის წარმომშობი, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლი და შემფარავი ხალხი წუხკალა და ყარაღა?! განა ბ-ნი ბამატის საქციელში მთელ ერს მიუძღვის დანაშაული? ამგვარი საქციელი იმ ქართველ „პარტიოტებს“ მაგონებს, რომელთა მენშევიკებისადმი სიძულვილი გურიანზედ და საერთოდ მთელ დასავლელ საქართველოზედ ვადაქვთ. ამის შემდეგ ამ უბედურების თავე ი. გიორგელბად მოაქვს! ბედავენ და კეცკასის კონფედერაციაზედ ლაპარაკობენ!

ვინათვან ვახ. „მომავალი“, თუმცა უზურპაციით, მაგრამ მაინც თავს „თ. გიორგის“ ორგანოდ იწოდებს, საქიროდ მიგახანია ქართველ საზოგადოებას გარკვევით მოვასენოთ ჩვენი აზრი და სულიერი განწყობილება. დაღესტანელთა შესახებ, საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვენ დაღესტანთან ტკბილ მეზობლობას და ძმურ ურთიერთობას. ურთ-ერთისადმი პატივისცემა, ნდობა და სიყვარული, რომელიც ლეკებსა და ქართველებს შორის უკვე არსებობს, უნდა გაღრმავდეს და დაედოს ზნეობრივ ფუძედ მომავალ კავკასიის სახელმწიფოს. ლეკები კავსიელთა შორის არიან ყველაზედ უფრო ვაჟაკნი და ვაუტეხენნი; პირდაპირი და გამტანნი; მშრომელნი და ხელოვნების დიდის ნიჭით დაჯილდოებულინი. „თ. გიორგის“ განწყობილება დაღესტანელთადმი გამომდინარეობს თვით ქართულ ეროვნულ ინტერესებთან, იგი დასცენდა კავკასიის ვითარების პოლიტიკური ანალიზისა და ლეკების ინტერიულ - ეთნოგრაფიული შესწავლისა. ამ ჩვენ ხაზს არ გადაუხვევთ ათასი ბამატიც რომ გამოჩნდეს, რათავან ჩვენი სალი გონებით ვაზროვნებთ და არა აშლილი ნერვებით და სწულთ თავით.

ორიოდ სიტყვა ბ-ნ სადათიერაშვილს, რომელიც „მომავლის“ იმავ ნომერში ქართველ ემიგრაციას ძვირფას რჩევას აძლევს: მოგვიჩიბოს ერთობისადმი და სამართლიანდაა აღლვებული იმ უწვევი ლანდვა-გინებით, რომლის კეთილად გადაიქცა ემიგრაციის რამოდენიმე ორგანო. საუბედურით ბ-ნი სადათიერაშვილის სიტყვებს მისივე საქციელი აბათილებს. ბ-ნ სადათიერაშვილს ავიწყლება, რომ ქრწური ლანდვა-გინებით, ბნძერი ცა ლის წამებით და უღირსი საქციელით (როგორიცაა კრძო წერილების გამოქვეყნება) ყველას „მომავალმა“ ვადაპარბა, ე. ი. იმ ორგანომ, რომელშიც იგი თანამშრომლობს. ბ-ნი სადათიერაშვილი ვაერთიანებას ვვირჩევს და თვით კი ვაგდგრებს და გამოთიშვლებს უწოდებს ხელსა. ჩვენ დარწმუნებულ ვართ, რომ ბ-ნი სადათიერაშვილის საქციელი გაუფებრობით აიხსნება და „მომავლის“ მიერ შეცდომაშია შეყვანალი. ყოველგვ შემთხვევებში ბ-ნი სადათიერაშვილი ზნეობრივად მოველვა საჯაროდ განაცხადოს იზიარებს თუ ჰგომოს „მომავლის“ მიერ დაღესტანელთა შეურაცყოფას და უსაზიზღორეს ცილისწამებას იმგვარი პიროვნებისადმი, როგორც არიან საქ. ჯარის ყოფილი მთავარ-სარდალი ლენ. კვინიტაძე, ცნობილი პოლ. მოღვაწე შალვა ამირეჯიბი და ბ. ზ. ავალიშვილი. „მომავალი“ მთ მოლატატებათ აცხადებს და ეს უსადავლესი ცილისწამება შეუძლებელია სინიდისიერმა ქართველმა გაიზიაროს. არც ჩვენ ვიზიარებთ „კაკავის“ გეგს და ვახ. „თეთრი გიორგი“ მაც გაუკეთა კრტიკა, როგორც ბ-ნ ბამატს აგრეთვე მის ქართველ თანამშრომელთ. ხოლო კრტიკითვან ცილისწამებამდე ხომ მთელი უფსკრულია!

ქ. ტანჯირო

ლეო კერესელიძე

ზოგნიერთი მოსაზრებანი

იმ პოლიტიკას რომელსაც მოსკოვი საქართველოში ეწევა ბუნებრივად თან მოსდევს გაჩანაგება ქართულ მსოფლ მხედველობისა, რომელიც უდიდესად მნიშვნელოვანია ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორც შემფასებელი და ალოლოს ამოები საშუალება, მისი განვითარებისათვის, თავისუფალ, ბუნებრივი გზით, ერისა და სახელმწიფოს წარმატებისათვის.

ახალ დროს მოაქვს საქართველოსთვისაც ახალი შესაძლებლობანი და რასაკვირველია იმ ფარგლებში, რომელშიდაც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, მოსკოვი და მისი პარტიის ბატონობის ქვეშ, ძნელია ქართველმა ხალხმა განავითაროს თავისი აზრი, შეაფასოს მიუღვრობლათ მოველნანი, განზომოს ისინი და იმოქმედოს მიზანშეწონილად.

გამოცილება, რომელსაც თვითთული ქართული ლებულობა ასეთ პრობლებში, იძლევა არა სრულ სურათს. წარმოდგენანი დამუშავებული ასეთ გამოცილებაზე, თავისთავად უნდა მოიკოქლებდეს, ამიტომ ქართული თვალთ ხედვა მცირდება, კლებულობს შემოქმედებითი ძალა და შესაძლებლობანი, ღარბდება და ეცემა სახელმწიფოებრივი აზრი.

თვითთული მოსკოვის პარტიის სულიერი წყარო და ხედვა „ლენინის-მსტალინიზმია“, რომელიც სათავეს „მარქსიზმში“ იდებს, და ჰეგელის ორიგინალური და რთული ფილოსოფიიდან ნასესხები, თავისებურად გამოყენებული, „დიალექტიკური ლოიკით“ ვითარდება, რომელიც სასტიკ „მატერიალისტურ“ გაგებას ექვემდებარება და ჩვეულებრივი რუსული ბნელი მისტიციზმით შეზავებული, რომელსაც არაყისა და სისხლის სუნის უდის, ევლინება საქართველოს როგორც სახელმძღვანელო აზრი.

ქართული თვალის ხედვა სხვაგვარია. იგი ძველია და მრავალ დროთა გამოცილება მას თან ახლავს. რაინდული კულტურით გამოზრძმედილი,

ზომიერი, კეთილი და გმირული, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილშობილი წყობა გამკაცდა...

უკანასკნელი ეპოქის მოქმედებანი საქართველოზე, მისკენ-სამხრეთის ხაზით ვითარდებოდა...

დიდმა ომმა მოახდინა დიდი ცვლილებანი, ღრძი ჩრდილოეთ - სამხრეთისა გადატყდა...

ბრიუსელი ირ. ოთხმეზური

წარსულიდან

ჰქრის და ჰქრის ქარი მოუსვენარი, აზვირთებული მტკვარი გრიალებს...

თქვენ შემავარეთ ენა გმირული, და გამიმტკიცეთ გზა ეროვნული...

როცა სამშობლოს დეე ვშორდებოდი აზრით გარშემო ვიხედებოდი...

ბუნებრივ ერი მდიდარი არის და წარსულითაც შესანიშნავი...

ახლო კი გვექონდა ჩვენ გამარჯვება, მოგვიანდებოდა ერის დიდება...

თუ ერის ხმალი გატეხილია?! მარტო გმირები ვერ აწინდებენ...

მით მაგალითით დედა გამობრდის მქედელი სამშობლოს დიდების დილის...

„კავკასი“-სათვის ჩემ შემართვებითა საპასუხოდ

მე ორი მცირე წერილი მოვათავსე „კავკასი“-ში, რუსულ ვერსიაში უფრო დიდია, რომელიც ახლა მრავალ ენაზე იბეჭდება...

კვი ხანა მას აქეთ. მაშინ იწყებდა მოღვაწეობას ეს უფროსი და მეც განუსაზღვრელი ნდობით ვიყავი აღტურველი მის ხელმძღვანელობაში...

მაგრამ მალე შევირწმუნე, რომ „კავკასი“-ის არ იყო, რაც მე მგონია და მალე შევსწავლეთ მასთან ყოველივე კავშირი...

მაგრამ საქართველის რწმენა ერთია და შესაძლებლობის სხვა, და აი ჩემი ეჭვი, ეჭვი ქართველისა, რომელსაც საქართვება კავკასიის პოლიტიკურად აწინებდა...

ჩვენი ქალისა

თანამედროვე ნაციონალიზმი ცხარე კონფლიქტში კათოლიკურ ან საერთოდ ინტერნაციონალურ ეკლესიასთან...

თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ხმლითა და ჯვარით იგი იცავდა საქართველოს სახელს და დიდებას...

საქართველო იყო ქრისტიანე მრავალ ბარბაროს მტერთა შუა გამოშვებული და შეუდარებელი გმირობით იცავდა დამოუკიდებლობას...

ქართველებმა ბევრი პოლიტიკური ქარიშხალი და შეუწყვეტელი ომები გადაიტანეს და მინც დამოუკიდებლობა და ქრისტეს სარწმუნოება მტკიცედ შეინახეს...

ქართული კულტურის შემქმნელი უპირველეს ყოვლისა სარწმუნოება იყო, ქართველის ცხოვრებას ახასიათებდა...

დღესაც გაიღვიძა მან გაორკეცებული ენერგიით საქართველოში, როგორც წინა დროს და საქართველოში უფრო დიდია...

მდებრებით და სახელმწიფოთა ბედსა სწევებს, საკვირველი არ იქნება, თუ რევოლუციონარი ცოცხალი ნაწილი კონფედერაციის ოგეგმვებზე მყოფ დიდ ერთა ბუნებრივი მისწრაფება დაებადება მათ ბუნებრივ წილში შესვლისა...

კავკასიაში ამ მხრით მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე შევიცარიაში იყო და ან არის დღეს: მთავარი ერი კავკასიისა არის ქართველობა...

მაგრამ მალე შევირწმუნე, რომ „კავკასი“-ის არ იყო, რაც მე მგონია და მალე შევსწავლეთ მასთან ყოველივე კავშირი...

თანამედროვე ნაციონალიზმი ცხარე კონფლიქტში კათოლიკურ ან საერთოდ ინტერნაციონალურ ეკლესიასთან; ფაშაიზმს სურს ეკლესია ეროვნულ საზღვრებში მოათავსოს, სარწმუნოება ერის ინტერესებს დაუმორჩილოს...

სულ სხვა მოვლენა ადერბეიჯანის ხალხი კავკასიაში: ენით თურნული, სარწმუნოებით მუსულმანი შიიტ, მოღვმით ნარევი თურანელთა და აღმოსავლეთი კავკასიის ძველ მკვიდრთა, ქართველებთან და სხვა კავკასიელებთან შედარებით ახალი ხალხი კავკასიისა, რომელსაც აქ აროდეს შეუქმნია ძლიერი და დღე-გრძელი პოლიტიკური სხეული...

სომხეთის ნაშთი დღეს კავკასიაშია და ამ მცირე მიწა-წყლის პატრონობით უმცაოფილო სომხობა სრულიად გულახდილად აღიარებს, რომ სომხეთის დამოუკიდებლობა ყოფილ ერებს, გუბერნიისაში მისთვის არ არის ეროვნული საკითხის გადაწყვეტა...

რბივადი მარტო არ გრძობს თავს არამედ ერთ ორგანიულ ნაწილად ერთი კიდე და ცხოველ მართლისა. და სწავს დღეს კავკასიის ადერბეიჯანელმა გულწრფელად: რა არის მისი იმედი, მისი იდეალი — პოლიტიკური შენობა დიდი და ძლიერი თურანისა, სადაც იგი, თურანისა, დიდი ქრისტიანულად იგრძობს თავს, თუ კავკასიის ქრისტიანულად იგრძობს თავს, თუ კავკასიის ქრისტიანულად იგრძობს თავს...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

სამავიგრო ნაკლებია დაბრკოლება ქართველთა და კავკასიელ მთელითა პოლიტიკურ ერთობისა. ჩვენ შორის ნათესაობა მტკიცა სისხლისა და ოდნავ ენებისც. ბედი ჩვენი უხსოვარი დროითგან ერთი იყო...

და მის განხორციელებას. რასაკვირველია, თუ კონფედერაცია კავკასიის ერთა გარეშე სომეხთა ნების განხორციელება, კავკასიის სომეხობაც იძულებული იქნება მის წევრად გახდეს, მაგრამ დღეს სომეხთა პოლიტიკური აზრის მომხრეობა კავკასიის კონფედერაციის იდეალად დასასახად და მათი ენერჯის გამოყენება ამ იდეალის განხორციელებისათვის ბრძოლაში ყოველად შეუძლებელია, თუ მათ არ აღეთქვა ცხადად და უტყუარად რასაც მოითხოვენ.

აი ეს და კიდევ სხვა მოთხოვნანი კავკასიის ერთა ურთიერთისაგან არიან უდიდესნი შინაგანნი დაბრკოლებანი კავკასიის ერთა კონფედერაციის შექმნისას: მოთხოვნანი, რომელიც თვითელს გულ-წრფელად ჰგონია სამართლიანი, მოთხოვნანი მრავალი სახისა, მრავალნი ძნელად აღსასრულებელნი და შეუძლებელნიც, და მათ შორის ყველაზე უფრო შეუძლებელი და აუსრულებელი — მიწა-წყლის მოთხოვნა. ერთი ერთი მოთხოვნა მეორისაგან მიწა-წყალს იმ „უფლებით“, რომ იქ მისი ნაწილი ცხოვრობს და მცხოვრებთა უმეტესობასაც კი შეადგენს. მეორე კი თვისი „უფლებით“ შეზღუდვასა გრძნობს და მომთხოვნელს ეუბნება: ჩემი ცუდი მდგომარეობა, რომელმაც ერთხელ შესაძლებლობა მოგვცა ჩემი მიწა-წყალი დაგეპირა, უფლებას არ გაძლევს მისი პატრონობისა. თუ დატოვებ ჩემს მიწა-წყალზედ შენს ნაწილს, იგი ჩემი სუვერენობის ქვეშ უნდა იყოს; არ ვეხები შენს ეროვნულ და კულტურულ თავისებურებას, არც კერძო საკუთრებას შენი მოდემის მოქალაქეთა, მაგრამ პატრონობა ჩემია. ეს არ ვნებავს, — მობრძანდები საითაც მობრძანებულხარ! — და აი, აქ უნდა გამოჩნდეს კონფედერაციის ნამდვილ მსურველთა სიბრძნე: მომთხოვნელმა უნდა იცოდეს, რისი მოთხოვნა შეიძლება, პატრონობა მოთხოვნელი მიწა-წყლისა, რისი დათმობა შეიძლება ან რა სახით გადასარა რომელიმე ერთი მიწაზედ მოსახლე უცხო ეროვნულ ელემენტსა საკითხისა. გამოსავალი ასეთ დაბრკოლებათაგან ყოველთვის მოიხსნება, თუ კავკასიის ერთები მართლ იგრძნობენ საჭიროებას და აუცილებლობას პოლიტიკური ერთობისა. ხოლო ერთი მხრით კონფედერაციას უნდა სიყვარულით საუბრობდეს და მეორე მხრით მეზობლის მიწა-წყალზედ „სატახტო ქალაქისა“ და „კულტურული ცენტრისა“ შექმნის ცდილთ, ან და ისეთ პროვინციათა მოთხოვნით მეზობლისაგან, რომლისათვისაც იქვეა კი ძვირფასია, აროდეს შექმნილა არავითარი „კონფედერაცია“ ერთა, არამედ მარტო სიძულვილი და მტრობა მათ შორის!

აი როდენ და რავარ შინაგან დაბრკოლებათა გადალახვა საჭირო „შეძლ მრავალს“ და „მრავალფერობა“ კავკასიაში უმცლეს „ეპიზოდს“ „ერთს“. როდენ წარსულთაგან გარდმონაცემ მცდარ წარმოდგენათაგან უნდა განთავისუფლდეს კავკასიელთა პოლიტიკური აზროვნება, რომ მან მართლაც ცხოვრობს იდეა შექმნის კავკასიის ერთა ერთობისა და იმ დღისათვის აბრძოლოს ყოველი კავკასიელი, მოსურნე კავკასიის დამოუკიდებლობისა. და გულ-ახილად ვიტყვი: უდიდესი წარსულის შეცდომათაგან საჭიროებულსა მტრობის განწყობილება იყო და იქნებდა დღესაც, რა მიზეზითაც იგი არსებობს და სადაც იგი არსებობს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული. ძლიერი საქართველო წარსულში მთელი კავკასიის პოლიტიკური არსებობის პირობა და საფუძველი იყო და იქნებდა მომავალშიც. — წარსულში სხვა ფორმით, მომავალში სხვითა. საქართველო იყო კავკასიის სახელმწიფოფორმის შემქმნელი და მზიდველი და მისი დასუსტებისა და დამხობისთანავე დაემხო თავისუფლებმა მთელი კავკასიისა. შორეულ წარსულში მნიშვნელობა ძლიერი საქართველოსი უფრო ესმოდათ კავკასიელებსა და სომეხებს, ვიდრე შემდეგ, მისი დასუსტების ხანაში. მაგრამ როდესაც იგი სრულიად მოსპობილი პოლიტიკურად, მაშინ ხომ უცხო უნდა გამხდარიყო და ვახდა კიდევ ბევრისათვის რომ საქართველოს სახელმწიფოს მოსობამ მთელი კავკასიის პოლიტიკური ცხოვრება მოკლა. განსვენებული გიორგი ლასხიშვილი მოგვიხატობს თავის მოგონებებში, თუ რა უთხრა 1888 წელს ქართველ ტყვე სტუდენტებს ტყვემე მოხუცმა ყაბადღელმა ღრმა აღმოჩენებით სატყვეო ვაგონში: „როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა“.

გიორგი ლასხიშვილს კავკასიის მზე შამილი ეგონა და რაღაც კითხვა მის შესახებ მოხუცს, მაგრამ მისი პასუხი შემდეგი იყო: „არა, ყმაწვილი, მე შამილზე რაღაც მითქვამს, კავკასიის მზე საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლია“. იმ მოხუც ჩერქეზს დიდაც სწორად ესმოდა კავკასიის პრობლემა, ალბად ისიც კარგად იცოდა, თუ ვინ დააღუპა საქართველოს თავი. დღესაც ალბათ ბევრა კავკასიის მთაში კეთილ-შობილ და ქვეყან მთის შვილთა შორის, ვისაც აგრეთვე სწორად ესმის ეს საკითხი და თუ კავკასიის ერთა პოლიტიკური მოახრებები იმ ბრძენი ჩერქეზის აზრს მთელ თავიანთ ერთა პოლიტიკურ რწმენად აქცევენ, ეს იქნება ის შეურყეველი იდეური საფუძველი, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს და განმტკიცდეს გაერთიანებული კავკასიის ერთა პოლიტიკური ცხოვრება. არავითარი ცრუ ეროვნულ სიამაყეს, არავითარი ცრუ შიშს საქართველოს რაიმე უპირატესობის წინაშე არ უნდა ჰქონდეს ადგილი კავკასიის სხვა ერთა შორის. საქართველო მათ დედად, გულად კავკასიისა უნდა დაიხსანონ, თვით უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ამ თვისივე გულის სიდიდითა და სიმაგრიით, მის ირგვლივ უნდა მოვიყაროთ თავი, მას უნდა ამარაგებდნენ და მისგან უნდა იყვნენ გამაგრებულნი სულიერად, ნივთიერად, სამხედრო ძალით. ყოველ მის განსაკუთრებულ უფლებას უნდა ცნობდნენ და პატივსაცემდნენ და ყოველი თვისი განსაკუთრებული უფლების ცნობასა და პატივისცემას უნდა სთხოვდნენ მას. ამას უკარახებენ კავკასიის საქართველოსა და კავკასიის სხვა მიწათა გეოგრაფიული მდგომარეობა, მათი წარსული, სწავლ მიღებული

ისტორიისაგან, და არა ქართველთა რაიმე უპირატესობა კავკასიის სხვა ერთა წინაშე ან საქართველოს რაიმე უპირატესობა პრეტენზიები. ამის შეგნება კავკასიის ერთაგან მათ მიერ პოლიტიკური სიბრძნის მიხვედრას მოასწავებს. და სანამ ამ სიბრძნით არ განისტკვლება მთელი კავკასია, ცუდი იქნება სიტყვათა ფრქვევა „მომბა-ერთობაზედ“ და „საერთო ინტერესებზედ“!

სურც ის წარმოუდგენია ნურავის, რომ ერთ შევნიერ დღეს განთავისუფლებული კავკასიის ერთა წარმომადგენლები შეიკრიბებიან თბილისში ან სხვაგან სადმე, მოიუბნებენ, შეთანხმდებიან და ასე ადვილად შექმნიან კავკასიის კონფედერაციას. ასეთ ყრილობებს წინ უნდა უძღოდეს ფაქტი კავკასიის დამოუკიდებელი ერთა, თავიანთ მიწა-წყალზედ სუვერენობა. ჯერ საერთო ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში შეიქმნება შესაძლებელი მათი კავშირი, შემდეგ თვით ცხოვრების საჭიროება მოითხოვს თან და თან უფრო ხშირი ჯაჭვებით მათ გადაბმას. ხოლო აროდეს დადგება დრო, რომ შესაძლებელი შეიქმნეს სრული საერთო კანონმდებლობა კავკასიის ყველა ერთათვის მთელი მთიან შინაგანი ცხოვრების მოსაწესრიგებელი. და ეს არც არის საჭირო. თავისებურება დიდა ყველა მთიანისა და სწორედ ეს თავისებურება მისცემს კავკასიას ძალას და სიშვენიერს. ჩვენ ვნებთ უკვე ჩვენ დამოუკიდებლობათა დროს, თუ როგორ წყარადებოდა თან და თან ვნებთა ღელვა კავკასიის თავისუფლად ერთა შორის და როგორი აუცილებლობით მიიღებოდა კავკასია თბილისისაკენ, ე.ი. ვნებთ დასაწყისი კავკასიის ერთა საქართველოს ირგვლივ შეკრებისა, მიუხედავად ათას დაბრკოლებათა შინაგანთაგან და გარეთგან. ამიტომ უკვე დამოუკიდებელი კავკასიის ერთა ერთობა არ მიმანია სრულიად უმეოდელ და შეუძლებლად, არამედ უფრო ძნელად მიმანია ამ ერთა განთავისუფლება და მათი დღეს შეკავშირება ერთი იდეით თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

კავკასიის ამ ძალიან რთულ და საინტერესო საკითხთა დამუშავება გონებით და ახილი გულით განხილვის მაგიერ ღმერთმა იცის რა და რავად იწერება სხვა და სხვა ენაზედ გამოცემულ „კავკახ-კავკასია-კოკახ“ და სხვაში უკვე დიდი ხანია, და მათ ხელმძღვანელოთ არ უნდა უტყუარდეს, თუ ეს ურუნალები აღმოვითვას იწვევს მრავალ ქართველთა და სხვა კავკასიელთა შორისაც.

მაგრამ აღმოვითვა კიდევ უფრო ძლიერია ხოლმე, როდესაც ეს პოლიტიკური ყურნალი კავკასიის ერთა რუსეთისაგან განთავისუფლების საკითხს ეხება. რასაკვირველია, ვერავითარი კონფედერაცია კავკასიისა ვერ შეიქმნება, თუ იგი არ გამოვიდა რუსეთის პოლიტიკური მონობითგან. რასაკვირველია, კავკასიის ერთე თავიანთი ძალით უზარ-მზარი ჩრდილოეთის იმპერიითგან თავს ვერ დაიძვრენენ, — საჭიროა ამისათვის დიდი უცხა ძალა, ამ ძალის მიერ რუსეთის განდევნა კავკასიითგან, მისი ნამდვილი, დიდი და ხანგრძლივ რესი კავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და ამ ინტერესითგან გამომდინარე მისი ყოველ-მხრივი და მუდმივი დანხარება, დაცვა, გარანტია შეუფერადობისა, სახმერთი იქმნება ძალიან ბევრ წინააღმდეგ მომართული თუ ჩრდილოეთითგან.

შეიძლება კიდევ ეწვიოს კავკასიას ისეთი ბედი, როგორც მას ეწვია წარსული დიდი ომის დასასრულს, როდესაც გერმანიის ძლევა-მოსილა მხედრობამ რუსეთი კავკასიითგანაც განდევნა და ამით შექმნა შესაძლებლობა კავკასიის პოლიტიკური თავისუფლებისა. რომ არ დამთავრებულიყო დიდი ომი გერმანიის დამარცხებით, დღეს ჩვენ თავისუფალნი ვიქმნებოდით. რასაკვირველია, ამ მხრით „მუშაობა“ კავკასიელთა, წერაც ჩვენ ენებზედ და უცხო ენებზედ შესახებ ჩვენი განთავისუფლების რუსეთითგან და ჩვენი განწყობილების იმ უცხო სახელმწიფოებთან, ვისაც ანტრერესებს ჩვენი ბედი, საჭიროა და მოვალეობა კავკასიის პოლიტიკურ მოდერნობა და მოახრება. მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო მოვლერება ყოველი დებულებისა და სიტყვისა, ვაზომება მათი მნიშვნელობისა და მათი თქმის შედეგისა, სრული გულახდილობა. როდესაც ეს საჭიროა, და სრული სიზრმე, სადაც თქმა არა სჯობს. რასაკვირველია, აგრეთვე ოსმალეთმა უნდა ათას-რულის თავისი როლი კავკასიის მოსაღიანდელ განთავისუფლებაში, როგორც ჩვენმა უშუალო მეზობელმა. და კავკასიაში არ მოიპოება არც ერთი ერთი და არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომ ოსმალეთთან ისეთივე „მეზობლური“, „კარგი“ და „მშვიდობიანი“ განწყობილება (შეიძლება ზოგიერთს მეტი რამაც) არა სურდეს, როგორც ყველა სხვა მეზობლებთან. მაგრამ აქაც სრულიად ცხადი წარმოდგენანი არიან ჩვენთვის და ოსმალეთისათვისაც საჭირონი: როგორ ესმის ოსმალეთს კავკასიის საკითხი და მისაღება თუ არა ჩვენთვის ის პოლიტიკური მიზნები, რომელიც მას დასახველი უნდა ჰქონდეს რუსეთისაგან გაწმედილ კავკასიაში?

„კავკახის“ მიერ ნაბრძანები „თურქოფილობა“ ყოველ შემთხვევაში ქართველთათვის პოლიტიკური მრწამსი ვერ იქნება. მას შემდეგ რაც ცნობილითგან მოსურნელი თურქობა საქართველოს საზღვრებს მოველინა, მისგან კარგი არა ახსოვს რა საქართველოს. წარსულ საუკუნეებში ვაგრძელდა ქართველთა და თურქთა შორის ბრძოლა. ჯერ შემოხეიანი, ძარცვა-გლეჯი უკუ-გდება მათი, შემდეგ მათი გამაჰმადიანებისა და მათ მიერ დიდი სახელმწიფოს შექმნისა კვლავ შემოსევისა, ხოცვა და ძალით „გადარჯულება“ ქართველებისა, წარმოება მიწა-წყლისა, მონებით გადასახალი, ქართველი და სხვა კავკასიელი მონებით ვაჭრობა საქართველოს ნავთ-სადგურებში, მეზობელთა მოსევა საქართველოს წინააღმდეგ, ბოლოს იძულება ქართველთა რუსეთისათვის მიგვეყვია თავისუფლება, რომ სულ არ გამოქრალიყვიათი. აი, რა ვახსოვს ოსმალეთთან. იგივე ახსოვს სპარსეთთან, თუმცა ჩვეულებრივად ქართველთაგან სპარსული კულტურით

სარგებლობას მაინც მოიხსენიებენ ხოლმე. მე ამ „კულტურას“, განსაკუთრებით მე-16—18 საუკუნეთა, დიდ ღირებულებას არ ვანიჭებ და საქართველო მოგვება თვარა არას წააგებდა რომ არც სპარსი და არც თის კულტურა საუკუნეთა განხილვობაში არსულიადაც არ განვიცადა! მაგრამ ოსმალეთისა არც „კულტურა“ გვახსოვს! რა გვაქვს ჩვენ სათურქოფილო! „კავკახი“ თურქოფილობას თუ კი გვიბრძანებ, არამედ, თუ მას კავკასიის ბედს გადაწყვეტაში თურქთა როლი სწამს, გამოიკვლიოს: არის თუ არა თურქთა წარმოდგენაში კავკასია დღესაც მიზანი ოსმალეთის ზრდის დამთავრებისა ჩრდილოეთით, სოფლის თუ არა ოსმალეთი ქართველობასა და სომხობას დღესაც ხელის შემშლად ამ თვისი მისწრაფებისა, სოფლის თუ არა იგი დღესაც კავკასიის სხვა ერებს მოკავშირედ როგორც ეს იყო საუკუნეთა განმავლობაში? მე თურქებთან მიმუშავება და ვიცი, როდესაც მათ ასეთ საკითხს — რასაკვირველია დიპლომატიისა და ზრდილობის წესთა სრული დაცვით — კავკასიელი პატრიოტი დაუყენებს, იგინი დიდი მეჭვრემეტყველობით, ლოღით და გულ-წრფელობითა და დამტკიცებენ მას სწორედ იმას, რასი დამტკიცებაც გულმტრად კავკასიელი პატრიოტი ჰქონდა განზრახული და ამგვარად საჭურველ-აყრილს დასტოვებენ. ხოლო როდესაც სიტყვა საქმედ უნდა იქნეს, მყისვე გამოჩნდება ხოლმე, რომ თურქს თვისი ძველი აზრი არ შეუცვლია, და განსაკუთრებით ეს სჩანს მაშინ, როდესაც თურქს ოდნავ გაუმარჯვდება ხოლმე ბრძოლაში და ქვეყანა თავის საკუთრებად მიანჩნა.

თუ დღეს თურქი იმასვე ფიქრობს კავკასიის შესახებ, რასაც ის მუდამ ფიქრობდა, მაშინ ჩვენ ურთიერთს რუსეთის საწინააღმდეგო ფორტისათვის ვერ გამოვადგებით, რათანაც პატრიოტ კავკახის ამ შემთხვევაში ჩრდილოეთის მტერთანაც მოუხდება ბრძოლა და სამხრეთის მტერთანაც. მაშინ ჩვენ ამ ფორტის სხვა წევრთა იმედს უნდა გვეკონდეს და მათთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ. დავმარცხდებით და ვაბათონდება ისევე რუსი საუკუნოებით კავკასიაში — ოსმალეთსაც და სპარსეთსაც მისგან უფრო მწარე ბედი ეწვეა, ვიდრე ეწვია მეცხრამეტე საუკუნეში. ჩვენ დავიღუბებით, მაგრამ ვერც იგინი დაიპყრებენ სამოთხეს. ვავიმაჯვებთ და განთავისუფლება კავკასია — ეს ოსმალეთ - სპარსეთისათვის ხელ - საყრელი იქნება, მაგრამ თურქის სურვილებს საქართველოს მიწის წილებისა და სხვ. ვერ ვერავინ ათხოვებს. დიდი ომის დროს თუ გერმანიამ დაგვიცვა თურქების ასეთი პრეტენზიისაგან და შემდეგ თვით მათმა დამარცხებამ, სხვა შემთხვევაში სხვა იქნება ჩვენი დამცველი, ვისაც კავკასიის პოლიტიკური არსებობა ნამდვილად აინტერესებს. ხოლო თუ შეიკვალა დღევანდელმა ოსმალეთმა თავისი აზრი და გულ-წრფელი წევრობა უნდა ანტირუსული ფორტისა კავკასიის ერებთან ერთად, მაშინ მისი მიზანი უნდა იყოს შექმნა ძლიერი კავკასიისა, მაშასადამე ძლიერი საქართველოსი. არაფერი მისაცემი და დასათმობი ოსმალეთისათვის საქართველოს არა აქვს! საქართველოს არავისათვის მიწა-წყლის წაღვევა არ ევლდება. მაგრამ სხვათაგან წარტაცებულსა და წინაგლეჯ მამა-პაპათა სამკვიდრებელს თვისას არავის დაუთმობს. მას მისი მიწა-წყალი თვით სჭირდება, უცხოელებითაც რომ იყოს იგი უმეტესად დასახლებული. რამდენჯერ ამოწყვეტილა მტერთაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართული მოსახლეობა და რამდენჯერ მოშენებულა იგი ისე! იგი კვლავ მოშენდება თავისუფალი საქართველოს ზრუნვით და უცხოს შეუძლია საითგანაც მომრძანებულა იქითვე ჰქმნას პირი, თუ საქართველოს მოქალაქეობას არ მოისურვებს და თავს იწრავს იგრძნობს. ერთა სიცოცხლე ხანგრძლივად და არ ვიცით ვის რა ბედი ეწვეა. ოსმალეთთან ჩვენა გვაქვს სადავო და არა მათ ჩვენთან. მას უჭირავს ჩვენი მიწა-წყალი, ბევრგან ქართული მოსახლეობით, და თუ მან ძლიერი საქართველოს საჭიროება შეიგონა, მან უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი საკუთრება, იქ დასახლებული თურქები წაიყვანოს და ჩვენი ქართველობა, განხეული ანატოლიაში, ჩვენვე დავვიბრუნოს. ოსმალეთს უზარ-მზარი ტერიტორია უჭირავს და არა სჭირდება სხვიც წარტაცებული, ხოლო ჩვენ შორის მიწა-წყლის საკითხის მოწესრიგება საუკუნო მშვიდობიანობას ჩამოაგდებს. ეს ნაყოფი გამოიღო ეროვნული პრინციპით პრაქტიკულ პოლიტიკაში ხელმძღვანელობამ უკვე ყველგან: სადაც ეროვნული პრინციპი მართლად სწამს, ხოლო ქაოსი და ანარქია დაჰბადა ამ პრინციპის უარყოფამ აგრეთვე ყველგან, სადაც მას სასაცილოდ იგდებენ და საითგანაც შეიძლება ქვეყანას ომის ცეცხლი მოეკიდოს!

რა სათქმელია აქ, რომ „მენშევიკების მთავრობამ“ ოსმალეთს რაღაც დაუთმო, ან ის, რომ ოსმალეთს საქართველოში შემოიჭრნ ბრესტ-ლიტოვსკის ზავისაგან უფლება - მოსილი, ან სხვა ამგვარი რამ, ან კიდევ ის საყვედურს, თუ რა მიზეზებით ქართველობა გერმანიებს 1918 წ. როგორც მხსნელებს თურქების შემოსევის წინააღმდეგ და სხვ.

მე „მენშევიკების მთავრობას“ არ ვიცავ; იგი ბრძოლაც „ტრადელა“ იყო ქართველთათვის, და არც მათში და ბაქოში მჯდარან ბისმარკები, არც ერევანში! „მენშევიკების მთავრობა“ მაშინ საქართველოს მთავრობა იყო და ახლავ ფეხზედ დამდგარ სახელმწიფოს და მისი ახსოვლობა ყველამ წიხნ ჩაჰკრა. შეიწროებულს საქართველოს მთავრობას შეიძლებოდა მეტიც დაეთმო ოსმალეთისათვის, კიდევ უფრო შეიწროებული იგი რუსეთის მთავრობამ მოატყუა — მენშევიკი ბოლშევიკი — და საქართველო სულ დაიღუპა. საჭირო არ არის იმის მოგონება, თუ რა როლი დაასრულეს 1918 წლითგან 1921 წლამდე სხვა მთავრობებმა, კარგი მოსაგონებელი არა იქნება რა!

ბრესტ - ლიტოვსკის ზავსაც რომ კიდევ არა მიეცა რა ოსმალეთისათვის, იგი მაინც შემოიჭრებოდა საქართველოში, და იგი ყოველი დაღებული

ხელშეკრულების მიუხედავად ყოველთვის განიშორებს იმასვე, რაცა ჰქმნა ახლო წარსულში, სანამ ნამდვილი მომხრე არ გახდება საქართველოსა და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისათვის. მენშევიკი კარგად ვიცით და სატყუარს დასა შევნიერდით, უცხო მოკავშირესა ხმს უნდა დაეჭვივებინებოდა თურქებს წინ ყოველთვის, როდესაც მათი ძველი ჩვეულებისამებრ საქართველოს გადმოთვლას და გადარცხას მოინდომებენ. და „კავკახს“ ურჩენია საყვედურები იმათკენაც მიმართოს, ვინც იგი უფრო დაიმსახურა და არა მარტო ჩვენსკენ, ვინც საკუთარ კერას ვიცავდით, და არა მარტო იმ საცოდავ „მთავრობისაკენ“ რომელსაც ყველა აბუხად იგდებდა და მრავალი დასაბრუნებდა. ბოლოს და ბოლოს რას ერჩის „კავკახი“ ამ „მთავრობას“? იმას რომ მეტი არ მისცა ოსმალეთს ვიდრე მისცა? თვარა ვინ უქადაგებს საქართველოს „გაცემას“ და „დათმობას“, ბრძანებით კილოთიც კი, თუ არა „კავკახი“?

დღეს საქართველო არ არსებობს როგორც სახელმწიფო, როგორც არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო კავკასიისა. ამიტომ ცუდია „დასახლებობა“ რომელიც ოსმალეთის „გადაცემისა“ და სხ. როდესაც ახალი, კანონიერი მთავრობა შეიქმნება საქართველოსი, მას თვით ეცოდნება რა პირობებში რა უნდა ჰქმნას. ყოველ შემთხვევაში მისთვის, როგორც ახალი სახელმწიფოს მთავრობისათვის, სრულიად საგადასაბრუნებელი არ შეიძლება იქნას რომელიმე ძველი ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოთა შორის. ვინ იცის, იქნებ ის იძულებული ქეიქმნეს კიდევ მეტიც დასთმოს ვიდრე „მენშევიკების მთავრობამ“ დასთმო. ხოლო სულ სხვაა ქართველი ერის მიერ მიღება იმ აზრისა, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნახევარი დასაბრუნდა, იქ ქართველობა აღარ არის (?) და ამიტომ ოსმალეთს გადავსცეთ, რომ რუსების წინააღმდეგ გვიშველოსო! დიდ ბოდიშს მოვითხოვ „კავკახის“ წინაშე, თუ მოვახსენებ, რომ ასეთი საუბრით, „ქართული ირრედეტის“ განქვეითებით იგი თავის კეთილშობილ მიზანს კი ვერ მიახწევს, არამედ იმ აღმოვითვას იწვევს ქართველთა შორის, რომელსაც იგი ასე ვაკვირებდა და რომელმაც ბოლოს და ბოლოს შეიძლება თვით „კავკახის“ არსებობა ვახდლოს კავკასიელთათვის იმუდებლად და შეუძლებლად. შეიძლება თვით თურქიც არ დაჩრქვს მისი კმაყოფილი და უთხრას: — დათვის სამსახურს მიწვევ ბიძიავ, ცუდ საუბარს სულ გაწმედ სჯობია!

დასასრულ, რა არის „კავკახის“ მიერ ასეთი დაუსრულებელი, დაეინებით და სიძულვილით ბრძოლა ყორღანისა, საქართველოს „მენშევიკური მთავრობის“, „მენშევიკების“ წინააღმდეგ? თუ ყორღანისა, ქართულ მენშევიკებს ებრძვის „კავკახი“, მან ასეთივე ბრძოლა უნდა გაუწიოს საზოგადო მენშევიკებს, მაგრამ მენშევიკში, როგორც ბოლშევიკში, მარქსიზმი, ხოლო მარქსიზმს დღეს ფაშიზმი, ნაციონალი - სოციალიზმი ებრძვის მთელს დედამიწის ზურგზედ და თვით ბედი ცივილიზაციისა არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რომელი მათგანი ვავიმაჯვებთ საბოლოოდ. „კავკახს“ კი არავითარი იდეური ღვაწლი არ მიუძღვის მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (ფაშიზმის წინააღმდეგ დასაბრუნებელი კი ბევრია მის ფურცლებზედ!) და ნამდვილი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ მისთვის ბევრი მოსაზრებით შეიძლება არც იყოს მისწინა-შეწინილი და ხელ-საყრელი. რჩება მხოლოდ ერთი რამ „კავკახის“ ბრძოლისაგან „მენშევიკის“ წინააღმდეგ: ძალიან მიძიმე და არა სასიამოვნო შთაბეჭდილება, თითქმის „კავკახში“ „მენშევიკის“ სახელით მთელ ქართველობას ესმოდეს ლაფი ძალიან მოხერხებულად! მე სრულიად არ მინდა ესთქვა, რომ ამას განზრახ სხადიან „კავკახელები“, მაგრამ შთაბეჭდილება ასეთი რჩება შინაურსაც და უცხოცაც მათი დაუსრულებელი პოლიტიკისაგან ქართველ მენშევიკთა, საქართველოს „მენშევიკური მთავრობის“ წინააღმდეგ, და თუ „კავკახელებს“ სურსთ ეს შთაბეჭდილება გააქარწყლონ, საჭიროა მეტი ტაქტი და გონიერება გამოიჩინონ, როდესაც კალამს ატრიალებენ!

მაგრამ სხვა კიდევ უფრო მიძიმე და უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს „კავკახი“, კერძოდ „ქართული“ „კავკახისა“ უცნაური სიჭრელით თანა-შემოქმედება და მათ ნაწილს: მკვლერთა, მოაზრე და სიტყვის ხელოვანი გაბოროტებული ადამიანის, ბოროტად რაღაცას მჩამხველის, ან „მორალური ფაქტორების აპოკალიფსა“ და მსგავს სიბრძნეთა მეტყველის გვერდით!

აი ეს ჩემი გულ-წრფელი აღსარება მათ წინაშე, ვინც მომთხოვა ჩემი აზრი გამოიმეტვა „კავკახელებს“ შესახებ. მის მაგვარად რომ გონიერად შესვლითგან შექმნას კავკასიის ერთა პოლიტიკური ერთობის იდეისა, მათ ყველაფერი ისა ჰქმნეს, რაც არ უნდა ექმნათ.

უდიდესი ნიშანი მათგან საქმის ცუდად წაყვანისა სწორედ ის აღმოვითვას, რომელიც მათმა ორგანომ ბევრთა შორის გამოიწვია ნაცვლად თანაგრძნობისა. დიდი იდეის პროპაგანდა მხოლოდ მტერთა შორის იწვევს მტრობას და წინააღმდეგობას, აროდეს მოყვარეთა შორის, რომელიც თვით არიან აღმსარებელნი ამ იდეისა. და თუ „კავკახს“ მისთვის და ჩვენთვისაც არა-სასურველი ბედი ეწვია, თავის თავს უნდა დააბრალოს: მეტი ინტერესი დიდ საკითხთათვის, მეტი გულწრფელობა, მეტი ტაქტი და გონიერება რომ გამოიჩინა მას, ბევრი მიემხრობოდა. დღეს კი მეც მისი უპირველესი თანამშრომელი — განვიმეორებ—იმას ვწუხარ, რომ სხვა ჩემგან ღრმად პატივცემულნი პირნიც არ მო-შორდნენ ამ თითქმის ცხადად გაშლილ ფრონტს საქართველოს წინააღმდეგ...

მ. წერეთელი
საწვერო ვადასახადი და შემოწირულება გთხოვთ გადმოგზავნით შემდეგი მისამართით:
შალვა გიორგაძე
6, square Albin Cachot, Paris 13°.